საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების
ცენტრი

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის ანგარიში 2012 წელი

ანგარიშის სტრუქტურა



ნაწილი I

საქმიანობა საპარლამენტო არჩევნების დანიშვნამდე

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 14 მარტის №38 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2012-2015 წლის სტრატეგიული გეგმის საფუძველზე გამოკვეთილი პრიორიტეტების შესაბამისად, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (შემდგომში - სწავლების ცენტრი), საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, საპარლამენტო არჩევნების დანიშვნამდე განახორციელა შემდეგი აქტივობები:

ძირითადი აქტივობები	
მიზანი №1	**საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა**
1.1.	საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდის ორგანიზება, ჩატარება
1.2.	სასწავლო მასალის შემუშავება საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის
მიზანი №2	**ინფორმირებული ამომრჩეველი**
2.1.	პროექტი "სტუდენტური დებატ-კლუბი"
2.2.	პროექტი "მოსწავლეთა საარჩევნო კულტურის ამაღლება"
2.3.	მიზნობრივი გრანტების გაცემა ელექტორატის ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად
მიზანი №3	**დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა**
3.1.	სასწავლო მასალის შემუშავება არჩევნებში ჩართული სუბიექტებისათვის (პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია საშუალებების წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტები, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები)
3.2.	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება მათი განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად
3.3.	სასწავლო პროგრამის შემუშავება, განხორციელება პროექტში „კარდაკარი“ მონაწილე რეგისტრატორებისათვის

მიზანი №1. საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა

1.1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდის ორგანიზება, ჩატარება

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სწავლების ცენტრმა განახორციელა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სასერტიფიკაციო გამოცდის ორგანიზება, ჩატარება.

სასერტიფიკაციო გამოცდისათვის სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების მომზადება, რომელიც ცესკოს სხდომაზე დამტკიცების შემდეგ, თანდართული პასუხებით, წინასწარი საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე:

- საქართველოს კონსტიტუციიდან - 600 ტესტი;
- საქართველოს ორგანული კანონიდან „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ - 1800 ტესტი;
- ზოგადი უნარებიდან (ვერბალური ნაწილი) - 100 ტესტი;
- ზოგადი უნარებიდან (მათემატიკური ნაწილი) - 21 ტესტი (ნიმუშის სახით).

დამტკიცებული საგამოცდო ტესტები უცვლელი ფორმით იქნა გამოყენებული სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებისას, გარდა მათემატიკური ტესტებისა (გამოცდის ჩატარებისას შეიცვალა მხოლოდ რიცხვითი მონაცემები, ტექსტური ნაწილი უცვლელი დარჩა).

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების შესახებ“ ახალი დებულების თანახმად შეიცვალა სერტიფიცირების წესი:

- გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე;
- გამოცდა ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით.

გამოცდის ხანგრძლივობა შეადგენდა 1 საათს. თითოეული გამოსაცდელისათვის საგამოცდო ტესტების შერჩევა განხორციელდა ელექტრონულ პროგრამაში ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. პროგრამულად შერჩეული 30 საგამოცდო ტესტი მოიცავდა:

- საქართველოს კონსტიტუციიდან - 6 კითხვას;
- საქართველოს ორგანული კანონიდან ”საქართველოს საარჩევნო კოდექსი” - 17 კითხვას;
- ზოგადი უნარებიდან (მათემატიკური ნაწილი) - 5 კითხვას;
- ზოგადი უნარებიდან (ვერბალური ნაწილი) - 2 კითხვას.

დადებითი შეფასების მისაღებად გამოსაცდელს უნდა დაეგროვებინა 24 ქულა. გამოსაცდელებს, რომლებმაც დააგროვეს გამსვლელი ქულა ადგილზე გადაეცათ სერტიფიკატები.

გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საჩივრით მიმართა ორმა მონაწილემ. ცესკომ განიხილა აღნიშნული საჩივრები და შესაბამისი საფუძვლების არ არსებობის გამო არცერთი მათგანი არ დააკმაყოფილა.

სასერტიფიკაციო გამოცდის მიმდინარეობას აკვირდებოდა აღნიშნული ფუნქციის განსახორციელებლად დარეგისტრირებული ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია:

- "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება";
- "მომავლის არჩევანი";
- "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა";
- "დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოება";
- "საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი".

1.2. სასწავლო მასალის შემუშავება საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

ცესკოს ეგიდით, სწავლების ცენტრმა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის "სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუტების და პროცესების გაძლიერება" ფარგლებში შეიმუშავა სპეციალური სასწავლო კურსი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის, რომლის საფუძველზეც მომზადდა შემდეგი სასწავლო მასალა:

ელექტრონული სასწავლო პროგრამა	შინაარსი
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	პროგრამა ითვალისწინებს ელექტრონული ფორმატით ვიზუალური და სქემატური ეფექტების გამოყენებით საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფას საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. სწავლების პროცესში მონაწილეთა ჩართულობისა და მიღებული ინფორმაციის აღქმის ხარისხის გადამოწმების მიზნით, ელექტრონული სწავლება ეფუძნება ინტერაქტიული მეთოდის ინტენსიურ გამოყენებას, რაც სწავლებისას შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია (ყოველი სასწავლო მოდულის დასრულებისას, ხდება გავლილი თემის შესაბამისი კითხვების გამოტანა. მხოლოდ სწორი პასუხის აღნიშვნის შემდეგ პროგრამულად შესაძლებელია ახალ სასწავლო მოდულზე გადასვლა).
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	

დამხმარე სახელმძღვანელო	ქართული	ქართულ/აზერბაიჯანულ/რუსული	ქართულ/სომხურ/რუსული	ინგლისური
ფასილიტატორებისათვის	30			
ტრენერებისათვის	180			
საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	1200			202
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის	47 650	2 400	1 690	192

საინფორმაციო ხასიათის მასალა	ქართული	ქართულ/ სომხური	ქართულ/ აზერბაიჯანული
კენჭისყრის პროცედურების ამსახველი პოსტერები	4000	150	200
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	20000	750	1000
საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	4000	150	200
გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრის სამახსოვრო ინსტრუქცია	8000	300	400

მიზანი №2. ინფორმირებული ამომრჩეველი

2.1. პროექტი "სტუდენტური დებატ-კლუბი"

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სწავლების ცენტრისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) თანამშრომლობით განხორციელდა საპილოტე პროექტი „სტუდენტური დებატ-კლუბი". პროექტის ფარგლებში IFES-ის მიერ მოწვეულ იქნა ექსპერტი დებატების დარგში.

პროექტი განხორციელდა სამ ეტაპად:
I ეტაპი - სწავლების ცენტრის თანამშრომლებისათვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი თემაზე „დებატების კულტურა";

II ეტაპი - კავკასიის უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის მოეწყო საჯარო ლექცია დებატების თემაზე;

III ეტაპი - სწავლების ცენტრის ტრენერების ფასილიტაციით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონფერენციო დარბაზში მოეწყო სტუდენტური დებატ - კლუბი თემაზე: "არჩევნებში მონაწილეობა - უფლება, თუ მოვალეობა".

სტუდენტების დებატებში მონაწილეობის კულტურა შეაფასა მოწვეულმა ჟიურიმ (საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ექსპერტები, ცესკოს წევრები და უნივერსიტეტების

რექტორები და დეკანები). სტუდენტებს გადაეცათ სერტიფიკატები.

2.2. პროექტი "მოსწავლეთა საარჩევნო კულტურის ამაღლება"

სწავლების ცენტრმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით, პროექტის „ლიდერთა სახლი" ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებისათვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე "არჩევნებში მონაწილეობის სამოქალაქო მნიშვნელობა".

ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ საქართველოში არჩევნების განვითარების ისტორიას 1919 წლიდან დღემდე, არჩევნებში ჩართული მხარეების როლსა და ფუნქციებს, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებს. ტრენინგის დასასრულს მოსწავლეებმა ჩაატარეს იმიტირებული კენჭისყრის პროცესი.

2.3. მიზნობრივი გრანტების გაცემა ელექტორატის ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად

,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგრანტო კონკურსის ჩატარება, რომლის მიზანი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი იმ პროექტების გამოვლენა, დაფინანსება, რომელთა განხორციელება მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს საარჩევნო პროცესისადმი სოციალური განწყობის გაუმჯობესებასა და მიმდინარე საარჩევნო წელს ელექტორატის აქტიურობის ზრდას, ამომრჩეველთა მიერ გააზრებული არჩევანის გაკეთებას და ამ მიმართულებით სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო კამპანიების წარმართვას/ორგანიზებას, მათ შორის, მედია საშუალებების როლის გააქტიურებას მათ მიერ ამომრჩევლებისათვის ხარისხიანი, პროფესიული და დამოუკიდებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

სამიზნე ჯგუფები, რომელზეც გავრცელდა დაფინანსებული საგრანტო პროექტები მოიცავდა:

- ახალგაზრდა ამომრჩევლებს;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებს;
- ეთნიკურ ჯგუფებს;
- ქალებს.

საგრანტო კონკურსი 19.03.2012					
N	**საგრანტო თემატიკა**	**დაფინანსების ფარგლები**	**შემოსული განაცხადი**	**დაფინანსებული ორგანიზაცია**	**პროექტის ღირებულება (ლარი)**
1	აქტიურ ამომრჩეველთა ქსელი - ამომრჩეველთა განათლების წყარო	50 000 ლარი	9	1.1. გენდერული კულტურის ცენტრი	27000.94
				1.2. ახალი ხედვა - საქართველო	24 960
				1.3. ააიპ კვლევის და განვითარების ასოციაცია	23 481

				1.4. მომავლის არჩევანი	36 850
				1.5. საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	37 500
				1.6. სამოქალაქო განათლება	24 900
2	არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების ხელშეწყობა სამოქალაქო განათლების სფეროში საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად	100 000 ლარი	4	2.1. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)	97 780
				2.2. ააიპ ახალი თაობა – ახალი ინიციატივა (nGnI)	100 000
				დაფინანსებული ორგანიზაციები - 8	372 471.94

საგრანტო პროექტთან დაკავშირებით დადგენილი დამატებითი მოთხოვნები:
პირველ თემატიკაზე წარმოდგენილი საგრანტო პროექტი უნდა განხორციელებულიყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აპლიკანტის შეხედულებისამებრ შერჩეულ რომელიმე საარჩევნო ოლქში/ოლქებში.

არასამთავრობო ორგანიზაციასთან დაკავშირებით დადგენილი დამატებითი მოთხოვნები:
მეორე საგრანტო თემატიკაზე პროექტის წარმდგენ არასამთავრობო ორგანიზაციას მოეთხოვებოდა:

- საარჩევნო და სამოქალაქო განათლების პროექტების განხორციელების არანაკლებ ხუთწლიანი გამოცდილება
- ბოლო ხუთი წლის მანძილზე გამართულ არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსით მასშტაბური მონიტორინგის განხორციელების გამოცდილება
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით საარჩევნო სფეროში სამოქალაქო ინიციატივების განხორციელების გამოცდილება
- სარეკომენდაციო წერილი პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან

საგრანტო კონკურსი 26.06.2012				
N	**საგრანტო თემატიკა**	**შემოს. განაცხადი**	**დაფინანსებული ორგანიზაცია**	**პროექტის ღირებ. (ლარი)**
1	ამომრჩეველთა ინფორმირებულობისა და არჩევნებში მათი ჩართულობის ზრდა რეგიონებში საგრანტო პროექტის დაფინანსების ფარგლები: 25 000 ლარი	16	1.1. საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი	24 950
			1.2. მომავლის არჩევანი	24 900

			1.3. დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოება	24 900
			1.4. ძალადობისაგან დაცვისა და სამოქალაქო განათლების რეგ. ცენტრი	24 050
			1.5. სახელმწიფოს ტერიტ-ადმინისტრაც. მოწყობის სტრატ. კვლევითი ცენტრი	24 900
			1.6. ახალგაზრდა ევროპელი დემოკ.	12 042
			1.7. სამოქალაქო ინიციატივა	24 958.22
			1.8. გრინ სოსაიეთი	24 992.71
			1.9. საქართველოს დემოკრატიისა და ეკონომიკური განვით. ინსტიტუტი	24 934
2	ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში საგრანტო პროექტის დაფინანსების ფარგლები: 25 000 ლარი	17	2.1. კავშირი ვეჟინი	24 742
			2.2. გენდერული კულტურის ცენტრი	23 360
3	რეგიონული მედია - ამომრჩევლის კვალიფიციური ინფორმაციის წყარო საგრანტო პროექტის დაფინანსების ფარგლები: ▸ არაუმეტეს 4000 ლარისა - სატელევიზიო მედია საშუალებებთან თანამშ. განსახორც. პროექტისათვის ▸ არაუმეტეს 3000 ლარისა - რადიო საშუალებებთან თანამშრ. განსახორციელებელი პროექტისათვის ▸ არაუმეტეს 2000 ლარისა - იმ ბეჭდურ მედია საშუალებებთან თანამშრომლობით განსახორციელებელი პროექტისათვის, რომლებიც არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ▸ არაუმეტეს 1000 ლარისა - იმ ბეჭდურ მედია საშუალებებთან თანამშრომლობით განსახორციელებელი პროექტისათვის, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ▸ არაუმეტეს 1000 ლარისა - ინტერნეტ მედია საშუალებებთან თანამშ.განსახორც. პროექტისათვის	8	3.1. ხონის ახალგაზრდული კავშირების ლიგა	1 950
			3.2. საზოგადოებრივი მონიტორინგისა და კვლევის ცენტრი	1 999.50
			დაფინანსებული ორგანიზაციები - 13	**262 678.43**

საგრანტო პროექტთან დაკავშირებით დადგენილი დამატებითი მოთხოვნები:

საგრანტო პროექტი უნდა განხორციელებულიყო აპლიკანტის შეხედულებისამებრ შერჩეულ საქართველოს ერთ ან რამდენიმე რეგიონში, გარდა თბილისისა.

საგრანტო კონკურსი 24.07.2012				
N	საგრანტო თემატიკა	შემოს. განაცხ.	დაფინანსებული ორგანიზაცია	პროექტის ღირებ.
1	ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა საარჩევნო პროცესში საგრანტო პროექტის დაფინანსების ფარგლები: 25 000 ლარი	17	1.1. ასოციაცია „ინვალიდთა კლუბი“	18 625
			1.2. ქალები მომავლისთვის	20 157.75
			1.3. გურიის რეგიონ. განვითარების სააგენტო	23 333.5
			1.4. სამოქალაქო განვითარების სააგენტო CIDA	24 200
			1.5. ქალთა საინფორ. ცენტრი	24 575
			1.6. კვლევისა და განვითარების ასოციაცია	23 918.60
			1.7 საზოგადოებრივი დამცველი	24 970
			1.8. საქართველოს აზერბჯ. ქალთა კავშირი	24 483
2	რეგიონული მედია - ამომრჩევლის კვალიფიციური ინფორმაციის წყარო საგრანტო პროექტის დაფინანსების ფარგლები: ▸ არაუმეტეს 4000 ლარისა - სატელევიზიო მედია საშუალებებთან თანამშრომლობით განსახორციელებელი პროექტისათვის ▸ არაუმეტეს 3000 ლარისა - რადიო საშუალებებთან თანამშრომლობით განსახორციელებელი პროექტისათვის ▸ არაუმეტეს 2000 ლარისა - იმ ბეჭდურ მედია საშუალებებთან თანამშრომლობით განსახორციელებელი პროექტისათვის, რომლებიც არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ▸ არაუმეტეს 1000 ლარისა - იმ ბეჭდურ მედია საშუალებებთან თანამშრომლობით განსახორციელებელი პროექტისათვის, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ▸ არაუმეტეს 1000 ლარისა - ინტერნეტ მედიასთან თანამშ. განსახორციელებელი პროექტისათვის	6	2.1. ასოციაცია ეპოქა	2 000
			2.2. თავისუფალ ჟურნალისტთა ასოციაცია „მეოთხე“	1 990
			2.3. გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტო	1 918
			2.4. რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“	4 000
			2.5. ააიპ „სატელევიზიო ქსელი“	4 000
			2.6. ჟურნალისტთა ასოციაცია „მეცენატი“	1 936.20
			დაფინანსებული ორგანიზაციები - 14	200 107.05

საგრანტო პროექტთან დაკავშირებით დადგენილი დამატებითი მოთხოვნები:

საგრანტო პროექტი უნდა განხორციელებულიყო აპლიკანტის შეხედულებისამებრ შერჩეულ საქართველოს ერთ ან რამდენიმე რეგიონში, გარდა თბილისისა.

მიზანი №3. დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა

3.1. სასწავლო მასალის შემუშავება არჩევნებში ჩართული სუბიექტებისათვის

არჩევნებში ჩართულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობის ფარგლებში ცესკოს ეგიდით, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სპეციალური სასწავლო კურსის შემუშავება, ორგანიზება პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია საშუალებების წარმომადგენლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისა და სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა შესაბამისი სასწავლო მასალა:

დამხმარე სახელმძღვანელო	ქართული	ინგლისური
პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის	2500	193
არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის	700	343
პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის	140	173
სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის	600	
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისათვის	150	
ბროშურა „კენჭისყრის დღე“ დაინტერესებული სუბიექტებისათვის	30 000	1 500

3.2. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება მათი განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად

პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, სწავლების ცენტრმა 2012 წლის პერიოდში უზრუნველყო პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მათ მიერ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელების მიზნით:

პოლიტიკური პარტიის დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
პო, მოქ. პოლ. გაერთიანება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	48431.79	48431.79	48431.79	68037.67

პო, პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" (ახლები)	12107.94	12107.94	12107.94	17009.41
პ/გ "ქართული-ოცნება -დემოკრატიული საქართველო"	0.00	0.00	0.00	9672.57
პო, მოქ. პოლ. გაერთ. "ჩვენი საქ.-თავისუფალი დემოკრატები"	12107.94	12107.94	12107.94	12173.13
ა(ა)იპ, პარტია ,,საქართველოს გზა'	12107.94	12107.94	12107.94	17009.41
პო, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	24215.88	24215.88	24215.88	14673.68
პო, საქართველოს რესპუბლიკური პარტია	12107.94	12107.94	12107.94	12173.13
პო, საქართველოს კონსერვატიული პარტია	16143.93	16143.93	16143.93	13006.65
პო, პოლიტიკური გაერთიანება "ხალხის პარტია"	16143.93	16143.93	16143.93	22679.22
პო, პოლიტიკური მოძრაობა "სამართლიანი საქართველოსთის"	16143.93	16143.93	16143.93	22679.22
პო, მოქ. პოლ. გაერთ. "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"	48431.79	48431.79	48431.79	29347.37
პო, "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს ევროპელი დემოკრატები"	16143.93	16143.93	16143.93	22679.22
პო, მოქ. პოლ. გაერთ. "ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია"	16143.93	16143.93	16143.93	22679.22
ააიპ საქრთველოს ლეიბორისტული პარტია	24215.89	24215.89	24215.89	5001.11
პო, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ქართული დასი"	5381.31	5381.31	5381.31	1111.36
პო, პოლიტიკური გაერთიანება "ეროვნული ფორუმი"	5381.31	5381.31	5381.31	10783.93
პო, პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება"	5381.31	5381.31	5381.31	1111.36
ჯამი	290590.69	290590.69	290590.69	301827.66

3.3. სასწავლო პროგრამის შემუშავება და განხორციელება პროექტში „კარდაკარი“ მონაწილე რეგისტრატორებისათვის

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიასა და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს შორის 2012 წლის 15 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში სწავლების ცენტრმა შეიმუშავა და განახორციელა სასწავლო პროგრამა პროექტში "კარდაკარი" მონაწილე რეგისტრატორებისათვის.

სწავლება ჩატარდა ორდონიანი "კასკადური" მეთოდით:

I ეტაპი - სწავლების ცენტრმა უზრუნველყო 38 ტრენერის მომზადება;

II ეტაპი - ტრენერებმა მომზადებული სპეციალური სასწავლო პროგრამის მიხედვით ტრენინგი ჩაუტარეს ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ შერჩეულ

11 100 რეგისტრატორს.

სასწავლო პროგრამის ფარგლებში სწავლების ცენტრის მიერ შემუშავდა:

- ტრენერის დამხმარე სახელმძღვანელო ინსტრუქცია;
- რეგისტრატორის დამხმარე სახელმძღვანელო ინსტრუქცია;
- პრაქტიკული სავარჯიშოების კრებული.

სწავლება განხორციელდა კომბინირებული მეთოდით:

- ვერბალური სწავლება;
- პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, სიტუაციური კაზუსები);
- როლური თამაშები.

ნაწილი II

საქმიანობა საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემდეგ

ძირითადი აქტივობები	
მიზანი №1	**საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა**
1.1.	საარჩევნო ადმინისტრაციის ფასილიტატორთა და ტრენერთა კორპუსის ფორმირება, მომზადება
1.2.	ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის
1.3.	ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების იურისტებისათვის
1.4.	ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის
1.5.	ტრენინგი ცესკოს პროექტში „ცხელი ხაზი“ მონაწილე პირებისათვის
მიზანი №2	**ინფორმირებული ამომრჩეველი**
2.1.	საინფორმაციო ხასიათის თვალსაჩინო მასალის მომზადება ამომრჩევლებისათვის
2.2.	საინფორმაციო ხასიათის აქცია სტუდენტებისათვის
2.3.	მიზნობრივი გრანტების გაცემა ელექტორატის ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად
2.4.	ელექტრონული სასწავლო პროგრამა ამომრჩევლებისათვის

მიზანი №3	დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა
3.1.	ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისათვის
3.2.	ტრენინგი პოლიტიკური პარტიებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის
3.3.	ტრენინგი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის
3.4.	ტრენინგი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის

მიზანი №1. საარჩევნო ადმინისტრაციის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა

1.1. საარჩევნო ადმინისტრაციის ფასილიტატორთა და ტრენერთა კორპუსის ფორმირება, მომზადება

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის უზრუნველსაყოფად სწავლების ცენტრმა და გაეროს განვითარების პროგრამამ (UNDP) საარჩევნო ადმინისტრაციის არსებული ბაზისა და საჯარო კონკურსის საფუძველზე შეარჩია 26 ფასილიტატორი და 174 ტრენერი.

ფასილიტატორთა მიერ განსახორციელებელი ფუნქციები:

- საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის ჩატარება;
- საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო ოლქებში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის ჩატარება;
- საარჩევნო ოლქებში შემავალი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის ჩასატარებლად ტრენერთა მომზადება;
- ტრენერთა მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის ჩატარების კოორდინაცია და მონიტორინგი;
- შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა სწავლების ცენტრში.

ტრენერთა მიერ განსახორციელებელი ფუნქციები:

- საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის ჩატარება;
- საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის სასწავლო კურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;
- შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა ფასილიტატორისათვის.

კადრების მომზადება განხორციელდა ორდონიანი "კასკადური" მეთოდით:

I ეტაპი - სწავლების ცენტრმა უზრუნველყო 26 ფასილიტატორის მომზადება;

II ეტაპი - ფასილიტატორებმა სპეციალური სასწავლო პროგრამის მიხედვით ტრენინგი ჩაუტარეს 174 ტრენერს.

1.2. ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სწავლების კურსი მოიცავდა საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების მიმოხილვას, საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვას, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაცნობას კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში.

სასწავლო მოდულები:

- საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- ამომრჩეველთა სიები;
- საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია;
- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის პროცესი;
- საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება და დახარისხება;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში;
- განცხადება/საჩივრების შეტანისა და განხილვის წესი.

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

საერთო რაოდენობა - 949

დამსწრეთა რაოდენობა - 878

დასწრების კოეფიციენტი - 93%



1.3. ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების იურისტებისათვის

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, განახორციელა ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების იურისტებისათვის:

ტრენინგი საოლქო საარჩევნო კომისიების იურისტებისათვის		
ჩატარების ადგილი	**მონაწილე რეგიონი**	**მონაწილეთა რაოდენობა**
ქუთაისი	იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, აჭარა, გურია	37
თბილისი	თბილისი, კახეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი	36

სასწავლო მოდულები:

- საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქცია;
- საუბნო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქცია;
- საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის განხილვისას შესასრულებელი პროცედურები;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი;
- 2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ;
- ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის განხილვისას შესასრულებელი პროცედურები.

1.4. ტრენინგი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სწავლების კურსი განხორციელდა სამ ეტაპად:

I ეტაპი - დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს.

II ეტაპი - დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და კომისიის მდივნების სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- ამომრჩეველთა სიები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები.

III ეტაპი - დაეთმო საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლებას, განხილულ იქნა შემდეგი სასწავლო მოდულები:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს;
- კენჭისყრის დღის ინსცენირება.

მესამე ეტაპის დასრულების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ჩატარდა დამატებითი პრაქტიკული სწავლება საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსების წესთან დაკავშირებით.

სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სპეციალური სწავლების კურსი გაიარეს ასევე გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა, მათ შორის, ავღანეთში განლაგებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში პროპორციული წესით საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად, ცესკოს 2012 წლის 4 აგვისტოს N122/2012 განკარგულების საფუძველზე, შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების განხორციელების მიზნით დაკომპლექტებული სპეციალური ჯგუფის წევრებმა.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სწავლება განხორციელდა კომბინირებული მეთოდით:

- ელექტრონული სწავლება (სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ელ. სასწავლო პროგრამა, ცესკოს მიერ მომზადებული კენჭისყრის დღის ამსახველი დოკუმენტური ფილმის ჩვენება);
- ვერბალური სწავლება;
- პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები);
- როლური თამაშები (საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება და კენჭისყრის დღის ინსცენირება).

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა:

I ეტაპი - საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრი

საერთო რაოდენობა - 47 424

დამსწრეთა რაოდენობა - 22 722

დასწრების კოეფიციენტი - 48%







II ეტაპი - საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის მდივანი
საერთო რაოდენობა - 10 944
დამსწრეთა რაოდენობა - 9762
დასწრების კოეფიციენტი - 90%





III ეტაპი - საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრი (ინსცენირება)

საერთო რაოდენობა - 47 424

დამსწრეთა რაოდენობა - 38 952

დასწრების კოეფიციენტი - 82%


თავმჯდომარე
95%
მოადგილე
91%
კომისიის მდივანი
92%


საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული წევრი
89%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
84%
საქართველოს ევროპელი დემოკრატები
81%
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა
80%
ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია
78%
საქართველოს კონსერვატიული პარტია
73%
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
72%
საქართველოს ლეიბორისტული პარტია
65%


თბილისი
94%
მცხეთა-მთიანეთი
84%
კახეთი
89%
სამცხე-ჯავახეთი
90%
შიდა-ქართლი
91%
ქვემო-ქართლი
81%
იმერეთი
90%
რაჭა -ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
92%
სამეგრელო - ზემო სვანეთი
88%
გურია
92%
აჭარა
87%



1.5. ტრენინგი ცესკოს პროექტში „ცხელი ხაზი“ მონაწილე პირებისათვის

2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის ცესკოში მოქმედი ცხელი ხაზის თანამშრომლებისათვის სწავლების ცენტრის მიერ შემუშავდა და განხორციელდა სპეციალური სასწავლო კურსი:

ტრენინგი ცესკოს პროექტში „ცხელი ხაზი“ მონაწილე პირებისათვის	
ჩატარების ადგილი	**მონაწილეთა რაოდენობა**
თბილისი (ცესკო)	22
სასწავლო მოდულები: ▸ საქართველის პარლამენტის არჩევნების ზოგადი მიმოხილვა ▸ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია ▸ არჩევნების მონიტორინგი და მედია ▸ ამომრჩეველთა სიები ▸ გასაჩივრების ვადა და წესი ▸ კენჭისყრის დღის პროცედურები ▸ საქართველოს პარლამენტის არჩევნების შეჯამება	

მიზანი №2. ინფორმირებული ამომრჩეველი

2.1. საინფორმაციო ხასიათის თვალსაჩინო მასალის მომზადება ამომრჩევლებისათვის

ამომრჩევლთა საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით, შეიმუშავა საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურის ამსახველი საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები და პოსტერები:

- ამომრჩევლის სამახსოვრო;

- სამახსოვრო წინასწარ პატიმრობაში მყოფი ამომრჩეველებისათვის;
- პოსტერი "კენჭისყრის საფეხურები ამომრჩევლებისათვის" (საჯარო გაცნობისათვის გამოიკრა საარჩევნო უბნებზე).

2.2. საინფორმაციო ხასითის აქცია სტუდენტებისათვის

სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, განახორციელა საინფორმაციო ხასიათის აქცია სტუდენტებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტების საარჩევნო კულტურის ამაღლების ხელშეწყობასა და მათ მოტივირებას საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. აქციის ფარგლებში:

- უნივერსიტეტებში სტუდენტებთან ჩატარდა დისკუსია თემაზე "არჩევნების მნიშვნელობა";
- მოეწყო ცესკოს მიერ მომზადებული კენჭისყრის დღის ამსახველი დოკუმენტური ფილმის ჩვენება;
- სტუდენტებს დაურიგდათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო ხასიათის ილუსტრირებული ბუკლეტები, სადაც გაწერილი იყო საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი ხმის მიცემის პროცედურა.

2.3. მიზნობრივი გრანტების გაცემა ელექტორატის ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად

სწავლების ცენტრმა გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) პარტნიორობით, ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით, გამოაცხადა საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანი იყო იმ პროექტების გამოვლენა, რომელთა განხორციელება მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს მიკუთვნებული ამომრჩევლების, იძულებით გადაადგილებული პირების ან/და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლების საარჩევნო კულტურის განვითარებასა და არჩევნებში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფას:

საგრანტო კონკურსი 12.09.2012			
საგრანტო თემატიკა	**შემოსული განაცხადი**	**დაფინანსებული ორგანიზაცია**	**პროექტის ღირებულება (ლარი)**
საზოგადოების ინფორმირების კამპანია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საგრანტო პროექტის დაფინანსების ფარგლები: ▸ არაუმეტეს 3000 ლარისა - პროექტის განხორციელებისათვის საქართველოს ერთ რეგიონში ▸ არაუმეტეს 5000 ლარისა - პროექტის განხორციელებისათვის საქართველოს ორ ან მეტ რეგიონში	3	1.1. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიური მოზაიკა“	5 000
		1.2. ასოციაცია „ქალი და განვითარება“	3 000
		დაფინანსებული ორგანიზაციები - 2	**8 000**

არასამთავრობო ორგანიზაციასთან დაკავშირებით დადგენილი დამატებითი მოთხოვნები:
პროექტის წარმდგენ არასამთავრობო ორგანიზაციას მოეთხოვებოდა საარჩევნო ან/და სამოქალაქო განათლების პროექტების განხორციელების გამოცდილება.

2.4. ელექტრონული სასწავლო პროგრამა ამომრჩევლებისათვის

საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ფარგლებში, შეიმუშავა ელექტრონული სასწავლო პროგრამა ამომრჩევლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. პროგრამა ითვალისწინებდა მომხმარებელთა მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფას კენჭისყრის დღის პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით.

ელექტრონული პროგრამის სასწავლო კურსი შედგებოდა 4 ძირითადი ნაწილისაგან:

- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- კენჭისყრის პროცესი;
- საარჩევნო უბნის დახურვა და კენჭისყრის შედეგების შეჯამება;
- კენჭისყრის დღის განხცხადება/საჩივრები.

მიზანი №3. დაინტერესებულ მხარეებთან პროაქტიული თანამშრომლობა

3.1. ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისათვის

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობითა და მათი ფინანსური მხარდაჭერით, შეიმუშავა და განახორციელა სპეციალური სასწავლო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისათვის:

ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა იურისტებისათვის	
ჩატარების ადგილი	**მონაწილეთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით**
ქუთაისი	იმერეთი - 25, რაჭა - 9
ბათუმი	აჭარა - 12, გურია - 7
ზუგდიდი	სამეგრელო - 19
თბილისი	თბილისი - 8, მცხეთა - მთიანეთი - 9, შიდა ქართლი - 9, ქვემო ქართლი - 15
ახალციხე	სამცხე-ჯავახეთი - 13
სიღნაღი	კახეთი - 17

სასწავლო მოდულები: ▸ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობა ▸ საარჩევნო კომისიებისათვის არჩევნებისათვის საჭირო შენობა - ნაგებობების გადაცემის წესი ▸ ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციასა და კამპანიაში ▸ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა ▸ საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა ▸ თანამდებობრივი ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა ▸ პასუხისმგებლობის ზომები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის

3.2. ტრენინგი პოლიტიკური პარტიებისა და სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობითა და ფინანსური მხარდაჭერით, შეიმუშავა შესაბამისი ელ-სასწავლო პროგრამა და დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.

სწავლების ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფასილიტატორებმა „BRIDGE-ს“ მეთოდოლოგიის გათვალისწინებით ჩაუტარეს ტრენინგი ზემოაღნიშნულ სამიზნე ჯგუფებს:

ტრენინგი პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის	
ჩატარების ადგილი	**მონაწილეთა რაოდენობა**
ბათუმი	28
კაჭრეთი	25

სასწავლო მოდულები:

- არჩევნების რეგულირება საქართველოში;
- არჩევნების მონიტორინგი (საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები);
- საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა;
- კენჭისყრის დღე.

3.3. ტრენინგი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის

ცესკოს ეგიდით სწავლების ცენტრმა შეიმუშავა და განახორციელა სასწავლო პროგრამა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებისათვის:

რეგიონალური მედიის წარმომადგენლების ტრენინგი	
ჩატარების ადგილი	**მონაწილეთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით**
ქუთაისი	იმერეთი - 19, რაჭა - 1
ზუგდიდი	სამეგრელო - 29
ბათუმი	აჭარა - 10, გურია - 8
თბილისი	კახეთი -15, ქვემო ქართლი - 7, სამცხე-ჯავახეთი - 8, მცხეთა - მთიანეთი - 5, შიდა ქართლი -11.
საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლების ტრენინგი	
ჩატარების ადგილი	**მონაწილეთა რაოდენობა**
თბილისი	20
მედიის წარმომადგენლების ტრენინგი თემაზე "არჩევნების გაშუქება" **(კონრად ადენაუერის სახელობის ფონდისა და "დოიჩე ველეს" აკადემიასთან პარტნიორობით)**	
ჩატარების ადგილი	**მონაწილეთა რაოდენობა**
თბილისი	15
მედიის წარმომადგენლების ტრენინგი **(სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში - „მოქალაქე ჟურნალისტები თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის")**	
ჩატარების ადგილი	**მონაწილეთა რაოდენობა**
თბილისი	25

სასწავლო მოდულები:

- საარჩევნო პუბლიკაციების, წერილობითი განცხადებების, პრეს-კონფერენციების ანალიზის მომზადება;

- არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პროცესის საჯაროობა;
- წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაცია;
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა;
- კენჭისყრის დღის პროცედურები.

3.4. ტრენინგი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ ინიცირებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელდა ფართომაშტაბიანი საგანმანათლებლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრებისათვის.

ცესკოსა და სამინისტროს ეგიდით სასწავლო პროგრამის ჩატარება უზრუნველყო ცესკოს სწავლების ცენტრმა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა.

პროექტი მოიცავდა სამ ეტაპს:
I ეტაპი - სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადება (ტრენერთა ტრენინგი);

II ეტაპი - ტრენერთა მიერ სასწავლო პროგრამის განხორციელება 18 სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებისათვის (14 სასჯელაღსრულების დაწესებულება აღმოსავლეთ საქართველოში, 4 - დასავლეთ საქართველოში);

III ეტაპი - ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

სასწავლო მოდულები:
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში საარჩევნო პროცესების ორგანიზების საკითხები;
- სააგიტაციო მასალების განთავსებისა და ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირების წესი;
- პატიმრების მიერ ხმის მიცემის პროცედურები.

პატიმრების მიერ საარჩევნო უფლების სრულფასოვნად რეალიზებასთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით მომზადდა შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც გადაეცათ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციებს მათი გავრცელების უზრუნველსაყოფად.

ნაწილი III

საქმიანობა არჩევნების შემდგომ პერიოდში

ძირითადი აქტივობები	
მიზანი №1	ინფორმირებული ამომრჩეველი
1.1.	სასწავლო პროგრამა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის

მიზანი №1. ინფორმირებული ამომრჩეველი

1.1. სასწავლო პროგრამა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის

ცესკოს, სწავლების ცენტრისა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივ ინიციატივას უნივერსიტეტებში საარჩევნო სამართლის დარგში სასწავლო პროგრამის განხორციელების შესახებ 2012 წელს, თანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერით, სამი უნივერსიტეტი შემოუერთდა:

- თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი;
- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
- საქართველოს უნივერსიტეტი.

დღევანდელი მდგომარეობით სწავლების ცენტრი საარჩევნო სამართლის დარგში სასწავლო პროგრამას ახორციელებს:

- 16 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული, ჟურნალისტიკის ფაკულტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტებისათვის (11 - თბილისში და 5 - რეგიონში მოქმედი უნივერსიტეტი);
- ცესკოში მოქმედი იურიდიული კლინიკის პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისათვის.

ცესკოს და სწავლების ცენტრის პარტნიორი უნივერსიტეტები

სასწავლო პროგრამის განხორციელების უზრუნველსაყოფად სწავლების ცენტრის მიერ მომზადდა:

- დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისათვის;
- დამხმარე სახელმძღვანელო ლექტორებისათვის;
- ელექტრონული პრეზენტაციები.

ძირითადი სასწავლო მოდულები:

- საქართველოს საარჩევნო სამართლის ისტორია;
- საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები;
- საარჩევნო სისტემები;
- საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა;
- წინასაარჩევნო კამპანია;
- არჩევნების დაფინანსება;
- არჩევნების მონიტორინგი და მედია;
- საარჩევნო დავები;
- საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები;
- საქართველოს პარლამენტის არჩევნები;
- აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები;
- ქალაქ თბილისის მერის არჩევნები;
- რეფერენდუმი და პლებისციტი.

სწავლების მეთოდოლოგია:

- ელექტრონული სწავლება;
- თეორიული სწავლება;

- პრაქტიკული სწავლება;
- როლური თამაშები (იმიტირებული კენჭისყრის პროცედურების, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით იმიტირებული პრესკონფერენციების, დებატების, კონკურსების ორგანიზება).

2011-2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სტატისტიკური მონაცემები:

№	უნივერსიტეტის დასახელება (იურიდიული ფაკულტეტი)	სტუდენტების რაოდენობა
1	გორის სასწავლო უნივერსიტეტი	16
2	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	13
№	**უნივერსიტეტის დასახელება (იურიდიული კლინიკის ფორმატი)**	**სტუდენტების რაოდენობა**
1	კავკასიის უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	13
№	**უნივერსიტეტის დასახელება (ჟურნალისტიკის ფაკულტეტი)**	**სტუდენტების რაოდენობა**
1	გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	18
2	გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	31
3	ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	18
4	თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	8
5	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	23
6	ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	14
7	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	75

სტუდენტებისათვის დამატებით განხორციელებული აქტივობები:

- იურიდიული კლინიკის კურსდამთავრებულმა სტუდენტებმა ცესკოს მიერ ორგანიზებული კონკურსის საფუძველზე მონაწილეობა მიიღეს ცესკოს პროექტში „ცხელი ხაზი“;
- ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მოეწყო კონკურსი თემაზე ”რატომ უნდა წავიდე არჩევნებზე”. კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა სტუდენტების მიერ მომზადებული 7 საუკეთესო ვიდეორგოლი, რომელთა პრეზენტაცია მოხდა პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებსა და სამოქალაქო განათლების პროექტებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან სწავლების ცენტრის მიერ ჩატარებულ შემაჯამებელ შეხვედრაზე.

2012 – 2013 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სასწავლო პროგრამა მიმდინარეობს შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

№	უნივერსიტეტის დასახელება (იურიდიული ფაკულტეტი)	სტუდენტების რაოდენობა
1	გორის სასწავლო უნივერსიტეტი	27
2	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	15
№	უნივერსიტეტის დასახელება (ჟურნალისტიკის ფაკულტეტი)	სტუდენტების რაოდენობა
1	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	16
2	ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	15
3	გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი	20